დანართი 1

დამტკიცებულია: ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ დირექტორის
2020 წლის 03 ივნისის N01-09/78 ბრძანებით

ა(ა)იპ - კოლეჯში „იკაროსი“
უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

თავი I. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი“ (შემდგომში - კოლეჯი) უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვის და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, კოლეჯში უსაფრთხებასა და წესრიგის დაცვაზე და პირველადი დახმარების აღმოჩენაზე დადგენილი წესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/ები, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელი და თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის შინაგანაწესით და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს:
ა) კოლეჯის ბალანსზე რიცხული ქონების დაცვას;
ბ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;
დ) კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
ე) უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმებს;
ვ) საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას.

თავი II. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები

მუხლი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება;
2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის;
3. აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილადაალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა;
4. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი/ები, თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები შენობაში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანება, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებული არიან:
ა) დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო დაცვას, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და მორიგე სამსახურებს (სასწრაფო, პატრული და ა.შ.). ამასთან, აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, აგრეთვე შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი;

ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ადამიანთა გადასარჩენად, ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში;
5. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი/ები ვალდებულია არიან:
ა) შეამოწმონ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემის (ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) მუშაუნარიანობა;
ბ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), შეაჩერონ გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ ნედლეულის, გაზისა და წყლის კომუნიკაციები, შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;
გ) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო (თუ ეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესით დასაშვებია), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;
დ) გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა მუშაკი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;
ე) სახანძრო დაცვის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა;
ვ) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;
ზ) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;
თ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;
ი) სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული დ გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაშიშ თვისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე გაუწიოს ორგანიზება ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.
6. ევაკუაციის ნიშანის შემთხვევაში ადგილზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელებთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას.

თავი III. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

მუხლი 4. ზოგადი დებულებები (პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა)

1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარითა და საშუალებებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - მედდა.
2. მედდა უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარითა და საშუალებებით. სამედიცინო საშუალებების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმების კონტროლს ახორციელებს კოლეჯის მედდა.
4. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ გააჩნია კომპეტენცია, სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯის სტუდენტებს/მსმენელებს/პერსონალს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, ოპერატიულად იქნება გამოძახებული სასწრაფო დახმარება.

მუხლი 5. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები

1 სტუდენტებს/მსმენელებსა და კოლეჯის თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ კოლეჯის მედდას და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.
2. თუ სტუდენტი/მსმენელი ან კოლეჯის თანამშრომელი ვერ ახერხებს კოლეჯის მედდასთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კოლეჯის მედდას, დაცვის

სამსახურს ან ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებულნი არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო პუნქტთან.
3. თუ სტუდენტის/მსმენელის ან კოლეჯის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს კოლეჯის მედდას და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. კოლეჯის მედდა ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.
4. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში და სასწავლო სახელოსნოში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის მედდის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.
5. აუცილებლობის შემთხვევაში კოლეჯის მედდამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამსახურები (პოლიცია და ა.შ).
6. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, კოლეჯის მედდამ ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:
ა) საკუთარი ტელეფონის ნომერი;
ბ) კოლეჯის მისამართი;
გ) რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რამდენად სერიოზულია ის;
დ) დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
ე) ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

მუხლი 6. ადამიანის გადამდები დაავადების დროს კოლეჯის მიერ გასატარებელი ღონისძიებები
1 კოლეჯში ადამიანის გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლინებისას კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე ვალდებულნი არიან დაუკავშირდნენ:
ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;
ბ) ადამიანის გადამდები დაავადებებით დაინფიცირებული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.
2. დაინფიცირებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე კოლეჯის მედდა უზრუნველყოფს მის იზოლირებულად განთავსებას.
3. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურის დასკვნის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი აცნობებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ, ხოლო კოლეჯი უზრუნველყოფს სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას.
4. გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 7. კოლეჯის მედდის ფუნქციები
კოლეჯის მედდის ძირითადი ფუნქციებია:
ა) კოლეჯის პერსონალსა და სტუდენტებს/მსმენელებს უსასყიდლოდ გაუწიოს კონსულტაცია და/ან აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) უზრუნველყოს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელებისას ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და თანამშრომლებისათვის;
გ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის რეკომენდაციების გაწევა პირადი ჰიგიენის შესახებ;
დ) უზრუნველყოს კოლეჯში ჰიგიენური მოთხოვნების დაცვაზე კონტროლი;
ე) ხელი შეუწყოს კოლეჯში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;
ვ) შესაძლებლობის ფარგლებში გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.
ზ) აწარმოოს აღრიცხვიანობის ჟურნალი მის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ.
თ) აღრიცხოს და მეთვალყურეობა გაუწიოს ავადმყოფ სტუდენტებს/მსმენელებს (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა, უნარშეზღუდული და .აშ.). ასევე იზრუნოს კოლეჯის სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

თავი IV. უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები

მუხლი 8. უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა

1. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

2. კოლეჯი აყვანილია ცენტრალური დაცვის პულტზე და დაყენებულია ცენტრალურ დაცვის მექანიზმი

3. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, რომლებიც განთავსებულია შენობის ყველა სართულსა და ეზოში.

4. კოლეჯის დაცვის თანამშრომლები ან/და შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/ები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი. საჭიროების შემთხვევაში ისინი უფლებამოსილნი არიან დაათვალიერონ სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები.

5. კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და კოლეჯში დასაქმებული პირების გარდა, სხვა პირები კოლეჯის ტერიტორიაზე დაიშვებიან მხოლოდ კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის ნებართვით.

6. ყველა პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია თან იქონიოს პირადობის მოწმობა ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს დაცვის თანამშრომლებს კოლეჯში შესვლისას. სხვა შემთხვევაში იდენტიფიცირება ხდება ადმინისტრაციაში მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან კოლეჯის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, კოლეჯის ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწსიტყვობა და სხვა) დაცვის თანამშრომელი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელთან ერთად ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, სპეციალობა, ჯგუფი), დამრღვევის ახსნა-განმარტება. შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომისიას/კოლეჯის ადმინისტრაციას, რომელიც ხელმძღვანელობს კოლეჯის შინაგანაწესით და კოლეჯის სხვა შიდა მარაგულირებელი აქტებით.

მუხლი 9. კოლეჯის დარაჯი

1. კოლეჯის საშტატო განრიგის შესაბამისად კოლეჯის სადღეღმისო ცვლაში დასაქმებულია დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

2. კოლეჯის დარაჯის უფლება-მოვალეობებია:

ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება, მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

ბ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯში დასაქმებული პირების გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის ნებართვით;

გ) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

დ) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახების უზრუნველყოფა;

ე) კოლეჯის შენობის დაცვის ოთახში განთავსებული კანცელარიის, ადმინისტრაციის კაბინეტების, ბიბლიოთეკის, არქივის, აუდიტორიების, სასწავლო სახელოსნოების და მასზე მინდობილი სხვა გასაღებების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფა.

თავი V. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 10. გარდამავალი დებულებანი

1. კოლეჯს უფლება აქვს უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.

2. წინამდებარე წესს დანართის სახით თან ახლავს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით ზოგადი ქმედებების ინსტრუქციები, რომლებიც წარმოადგენენ სავალდებულო შინაარსის მქონე რეკომენდაციებს (დანართი).

მუხლი 11. დასკვნითი დებულებანი

წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

დანართი

ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია

საჭირო ნომრები:

გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112

„112“ არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სადაც ყველას შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების მისაღებად.

„112“–ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი სახის ტელეფონიდან, სახლის ტელეფონიდანაც და მობილურიდანაც. **112-ზე დარეკვა უფასოა.**

112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.

ვებ-გვერდი: **www.112.ge**

როგორ მოვიქცეთ ხანძრის დროს

ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

თუ გადაწყვეტს, რომ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლო ცეცხლს, მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;
2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.
4. კოლეჯის დაცვისა და უფლებამოსილი თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.

თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას

1. შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში, დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;
2. თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ ყველა კარი;
3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.
4. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
5. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.
6. სსსმ სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ ადმინისტრაციულ პერსონალს.
7. თუ ნახავთ, რომ შენობა ევაკუირებულია ან იქ იმყოფება მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალი სასწრაფოდ დატოვეთ შენობა. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

შენობაში (კოლეჯის შიგნით) გარდა გამოყოფილი ადგილებისა აკრძალულია:

- სიგარეტის მოწევა;
- კუსტარული ელექტროგამათბობლებიით ან ელექტროგამაცხელებლებით სარგებლობა;
- ღია ცეცხლით ან ღია ცეცხლის წყაროთი სარგებლობა;
- საწვავის, ზეთის ან სხვა აალებადი ნივთიერებების შენახვა და სარგებლობა;
- კოლეჯის წინამდებარე ტერიტორიასთან მისასვლელი გზების ავტომანქანებით ან სხვა საშუალებებით ჩახერგვა.

კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

შენობაში არსებული ხანძარქრობის პირველადი საშუალებები: ცეცხლსაქრობები და სხვა სახანძრო ინვენტარი უნდა იმყოფებოდეს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში. აღნიშნული ინვენტარის შესანახი სახანძრო კარადები უნდა იყოს დაცვის მუშაკების მეთვალყურეობის ქვეშ მათი მუდმივადგამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირების მიზნით.

რეკომენდირებულია: თუ კონკრეტული დაავადებიდან გამომდინარე თქვენთვის აუცილებელია, რომ თქვენი ჯანმთელობის დაზღვევის მიზნით სამედიცინო პუნქტში დამატებით ინახებოდეს სხვა მედიკამენტი, გთხოვთ აუცილებლად აცნობოთ ამის შესახებ კოლეჯის ექთანს.